ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N1

დაბა ქედა 09 მარტი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:15 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი
რომან დავითაძე - კომისიის წევრი
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი
ოთარ ხარაძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ირაკლი მახარაძე და დავით სირაბიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

09.03.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	
8	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1) „„ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 01 მარტი №g-95.95230602 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში განისაზღვრა 2023 წლის 09 მარტი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნულ პერიოდში შენიშვნები და მოსაზრებები კომისიაში არ წარმოდგენილა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი და განმარტა, რომ შემხვედრი გარემოებებიდან გამომდინარე ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანია რამდენიმე ცვლილება და ისაუბრა თითოეული ცვლილების აუცილებლობაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულების - ეკა გოგუაძის განმარტებით წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში მიზანშეწონილია განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები.

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ
ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	403 364	არაფინანსური აქტივი
	01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	30 000	არაფინანსური აქტივი
	02 01 02	სოფელ ქვედა აქუცისა და სოფელ ვაიოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	48 650	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 თებერვლის №11 განკარგულება
	02 01 06	დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	3 600	სუბსიდია

	02 02 01 01	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში ორცვასა და არსენაულში სასმელი წყლის სისტემების (შიგა გამანაწილებელი ქსელის, სანიტარული დაცვის ღობის) რეაბილიტაცია	85 550	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 თებერვლის №11 განკარგულება
	02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	31 400	სუბსიდია
	02 03 03 01	დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული კედლის მოპირკეთება	2 000	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 თებერვლის №11 განკარგულება
	02 03 03 02	დაბა ქედაში რუსთაველის ქ. №13 და №15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	47 100	ეკონომია
	02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	53 000	20000 არაფინანსური აქტივები, 33000 სუბსიდია (აკლებული თანხა შეივსება 2022 წელს მიღებული საკუთარი შემოსავლებით)
0	03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	25 000	სუბსიდია
1	05 01 04 01	ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ გოგიაშვილებში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	21 100	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 თებერვლის №11 განკარგულება
2	05 01 04 02	ქედის მუნიციპალიტეტში, დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ხარაულის ცენტრში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	44 460	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 თებერვლის №11 განკარგულება
3	05 02 06 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი	58 000	ეკონომია
4	06 01 01	ამბულატორიული მომსახურება	56 900	სუბსიდია
5	06 02 03	ჯამრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის (თანადაფინანსება)	14 000	თანადაფინანსება შეჩერებულია
ჯამი			924 124	

	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა

	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	137 400	არაფინანსური აქტივები (ავტომობილების შეძენა, (შევსება))
	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	201 760	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 თებერვლის №11 განკარგულების
	02 01 07	შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო	59 800	
	02 03 01 02	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	10 000	საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია 110000 ლარზე
	02 03 01 03	დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა	2 700	2022 წელს შეუსრულებელი ვალდებულება
	02 03 01 08	სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა	75 000	ორწლიანი პროექტი
	02 03 03 03	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა	36 800	ორწლიანი პროექტი
	02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	53 750	2022 წლის დავალიანების დაფარავა (შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა მოხვდა 2022 წლის ბოლოს და ვერ მოხვდა დაფინანსება)
	02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა (1800 ლარი სხვა ხარჯებიდან სუბსიდიაში)
0	05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	26 000	ავტომანქანის შესყიდვა (სხვაობის შევსება, არაფინანსური აქტივი)
1	05 02 01	ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	36 350	ავტომანქანის შესყიდვა (სხვაობის შევსება, არაფინანსური აქტივი)
2	06 01 02	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა (5560 ლარი სოციალური მომსახურებიდან საქონელი და მომსახურებაში)
3	06 02 12	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა (26200 ლარი სხვა ხარჯებიდან სუბსიდიაში)
4	06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება.	42 000	ბენეფიციართა მომართვიანობა

5		ნაშთის მოსესხების შემცირება	242 564	
ჯამი			924 124	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6.
წინააღმდეგი: 0.

კომისიამ გადაწყვიტა:
მომზადებულად ჩაითვალოს „„ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 16:15 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ამირან წულუკიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში